დაბა ფასანაურის, ბარისახოსა და როშკას განაშენიანების გეგმების კონცეფციების

საჯარო განხილვა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში (შემდგომში, სააგენტო) ერთობლივი საწარმოს Groupe Huit (Lead; France) and Artstudio Project (JV partner; Georgia) (შემდგომში, კონსულტანტი) წარმოდგენილ იქნა **დაბა ფასანაურის, ბარისახოსა და როშკას განაშენიანების გეგმების კონცეფციები.** დოკუმენტაცია შემუშავდა სააგენტოსა და კონსულტანტს შორის 2025 წლის 24 თებერვალს გაფორმებული SUDA/LCIP/QCBS-01 ხელშეკრულების საფუძველზე.

დაგეგმვის მიზანია დასახლებების მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა, ღირსეული, უსაფრთხო გარემოს შექმნა და განვითარება.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული კონცეფციები ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

დაბა ფასანაურის განაშენიანების გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2026 წლის 26 მარტს, 14:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: დაბა ფასანაური, კოსტავას ქ. N33, ი.ტრიპოლსკის სახელობის ფასანაურის N1 საჯარო სკოლა.

სოფ. ბარისახოსა და როშკას განაშენიანების გეგმების კონცეფციების საჯარო განხილვა გაიმართება 2026 წლის 27 მარტს, 13:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: სოფელი ბარისახო, ბარისახოს საჯარო სკოლა.

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება დასახლებების განაშენიანების გეგმების კონცეფციები ელექტრონული და მატერიალური სახით.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვის ჩატარებიდან **15 სამუშაო დღის ვადაში,** სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge; ასევე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27

დოკუმენტაცია ატვირთულია შემდეგ ბმულზე: განაშენიანების გეგმის კონცეფციები